



# Litur

2024, ქარისტო

THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - GABA  
LITURGIOSIS KOMITETI MAMNENI SABCHVASHVILI, 2024





მაისაკონცის სააღმომაშობო მილობება.....	3
რედაქტორის გვერდი ... 4-5	
კათოლიკური ეკლესია	
მსოფლიოში..... 6-7	
ჩვენი ეკლესია..... 8-10	
ჩანართი:..... I-IV	
სოციალური გვერდი - Inner Georgia .....	11
სახარების სისარულის მოწევი..... 12-13	
საბაზის ეროვნული . 14-15	
ფილმის პრემიერა.... 16-17	
კათოლიკური	
კულტურის ..... 18	
ინფორმაცია..... 19	

## აპრილი


- 7** აპრილი - პასექის მეორე კვირადღე გულმოწყალებისა, ივლიტის საკრებულოს დღეობა
- 8** აპრილი - უფლის ხარება, ჭიათურის საკრებულოს დღეობა
- 9** აპრილი - d. დემეტრე თბილელის გახსენება (+1321), საბეატიფიკაციო პროცესის დასაწყისი
- 10-11** აპრილი - მღვდლების, დიაკონებისა და ბერმონაზვნების შეხვედრა
- 21** აპრილი - პასექის მე-4 კვირადღე, ლოცვა მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის
- 23** აპრილი - მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)
- 25** აპრილი - წმ. მარკოზ მახარებელი
- 29** აპრილი - წმ. ეკატერინე სიენელი, ეგროპის მფარველი

**ქრისტე აღდგა! გილოცავთ აღდგომის  
ბრწყინვალე დღესასწაულს!**





## სინათლე პბრნუინებს ყოველ ცრემლს



**ძვირფასო დანო და ძმანო,**

ვიმედოვნებ და ვლოცულობ, რათა ყველანი ერთად ამ დღეებში გაოგნებული დავრჩეთ იმით, რასაც ლიტურგია განგვაცდევინებს და ამ გაკვირვებამ მწვერვალს მიაღწიოს ჯვარცმის წინაშე, რადგან სწორედ იქ ჩნდება ქრისტეს სახე მთელი თავისი ბრწყინვალებით: შოლტის ცემით, ფურთხით, სამსჭვალებით შეურაცხყოფილი და დასახირებული მისი სხეული გასაოცარია. ურუანტელის მომგვრელი სიყვარული, ხელებს რომ აგიცახცახებს... იესო მოკვდა სიყვარულით და სიყვარული განაგრძობს ჩვენში სიცოცხლის გაცოცხლებას. თუ სიყვარული ნიშნავს გაცემას, სიცოცხლის გაცემას, არა მხოლოდ „რაღაცისთვის ცხოვრებას“, არამედ „იმ რაღაცისთვის სიკვდილსაც“ ყოველივე იმის გაცემით, რაც ხარ, ბოლო ამოსუნთქვამდე ჯვარზე, ეს იქცევა მარადიულ სიცოცხლედ. სიყვარული არ კვდება! სიცოცხლე აღარ კვდება! ესაა აღდგომა!

რატომაა რომ ქალი მიდის საფლავთან დილით ადრე? რატომ ქალი? იმიტომ, რომ კაცებს ეშინოდათ და შიშის საპირისპიროა არა გამბედაობა, არამედ სიყვარული. აღდგომა უთენდება მას, ვინც ჯვრის წინაშე იყო და მიხვდა... გულში დაიუნჯვა ყველაფერი! მარიამი ჰგავს საყვარელს ქებათა ქების წიგნიდან, რომელიც ეძებს თავის საყვარელს.

„ქალო, რად ტირი?“ საითკენაა მიმართული იესოს პირველი მზერა? ცრემლებისკენ. სამყარო უკიდევანო ტირილია და იესო უმზერს ცრემლებს, სათითაოდ ითვლის მათ და აგროვებს. როგორც ამბობს მეფსალმუნე: „ტიკებში აგროვებ ჩემს ცრემლებს“. ცრემლები სიყვარულის გამოცხადებაა, როგორც მაშინ, როცა იესომ დაიტირა ლაზარეს სიკვდილი. ვიგრძნოთ მისი მზერა, როცა ცრემლსა ვღვრით; იესოს მზერა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ტკივილს პოულობს, წყლის ამ წვეთს, ზღვისა და ცხოვრების მარილს რომ შეიცავს, და რომელსაც ეცემა აღდგომის სხივი. „როდესაც სინათლე ეცემა წყლის წვეთს, იბადება ცისარტყელა“ (ე. რონკი).

აღდგომის შუქი ეცემა ჩვენს ცხოვრებას და აპა, სიცოცხლე ნათდება და აგიზგიზდება: ეს არის ახალი კავშირი, ალთქმა, ცისარტყელა, რომელიც მოუხმობს მარადისობას.

ამას გისურვებთ სააღდგომოდ: იხარეთ, იგალობეთ ალელუია, რაკი ყოფილა უსაზღვრო შუქი, რომელიც შემოდის ყოველ თქვენს ცრემლში, ყოფილა სიცოცხლე, რომელიც შემოდის ჩვენს სიკვდილში, სავსე სიცოცხლე, დაუსრულებელი...

აღმდგარი იესოს სიცოცხლე!

გილოცავთ აღდგომას!

ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად აღდგა!

† ეპისკოპოსის პაზოტო  
ლათინ კათოლიკეთა კავკასიის  
სამოციქულო ადმინისტრატორი



## პასეპის ღამე

„თქვი, რას აკეთებ, რას აკეთებ ცაზე, მდუ-  
მარე მთვარევ?“ - ამ კითხვას სვამს ჯაკომო  
ლეოპარდი (1798-1837) თავის ლექსში „აზი-  
აში მოხეტიალე მწყემსის ღამეული სიმღერა“  
(1830), ამ კითხვას სვამდა ასევე მილიონობით  
ადამიანი, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე  
აღტკინებით შეჰქონიერდნენ ცის კაბადონს.  
იგივე კითხვა ჩნდება პოეზიის, ფერწერის,  
მუსიკის, რომანების, ფოტოების საფუძველში,  
შეხვედრებისას... ეს არის აგრეთვე საინტერე-  
სო საკითხი ფილოსოფოსებისა და მეცნიერები-  
სთვის, მამოძრავებელი ძალა, რომელმაც განა-  
პირობა ამ მანათობები დისკოსკენ ფრენა და  
იქ პირველად დაადგმევინა ფეხი ადამიანს 1969  
წელს. ისევ ლეოპარდს მოვუსმინოთ: „მთვარევ,  
ძვირფასო, ვიცი, რომ ძალგიძს ილაპარაკო და  
მიპასუხო... ჩვენი ბავშვები ამბობენ, რომ შენ  
მათსავით ნამდვილად გაქვს პირი, ცხვირი და  
თვალები“. ეს ალბათ ბავშვურ ფანტაზიას და  
ანტიკური ეპოქის წარმოსახვებს უფრო წააგა-  
ვს, როდესაც მთვარეს ჯადოსნურ და ღვთაე-  
ბრივ თვისებებს მიაწერდნენ, ის ისე ჩნდება  
და უჩინარდება, როგორც სიკვდილი და ახლად  
შობა. ის არის ნათელი, მაგრამ ასევე ბნელი.

შემაშფოთებელი თავისი ორსახოვნებით, სრუ-  
ლყოფილი ელემენტია საშინელ მოვლენათა  
სამართავად. მთვარე, მზის თანმხლებიცაა და  
მოქიშპეც, ბაბილონურ მითოლოგიაში იგი იყო  
ღმერთი სინი, ეგვიპტეში მას აკავშირებდნენ  
ღმერთ თოთთან, ხოლო საბერძნეთში ის იყო  
ჰელიოსის, მზის ღმერთის, და ეოსოს, ავრო-  
რას და. მას ქალის სახით გამოსახავდნენ ორ-  
ცხენიან ეტლზე მზესთან ერთად მჯდომარეს.  
მოგვიანებით გალილეო გალილეი. (1564-1642)  
თავის მეცნიერულ დაკვირვებაში De facie  
Lunae აჩვენა, რომ მთვარე სულაც არ არის  
მბზინავი და სუფთა სფერო, მისი რელიეფი  
კლდეების, ხეობებისა და მთებისგან შედგე-  
ბა, ზუსტად ისე, როგორც დედამიწა. თუმცა

მამა გაბრიელე  
პრაგბანტინი CSS  
სთავარი რედაქტორი

სტილები;  
ეპისკოპოსის ვიკარიუსი  
ეუმანიზმისა და კულტურის  
დარგში; ჟურნალის  
ჟალუშისა და ოზურგების  
საკრაჭულოთა ცინამდვარი



# რედაქტორის გვარდი

ამგვარმა მეცნიერულმა დაკვირვებამ მაინც ვერ მოაკლო მთვარეს თავისი პოეზია და არც ადამიანში გაუნელებია მისი შეხების სურვილი. გავიხსენოთ ტორკვატო ტასოს „შლეგი ორლანდო“ (1544-1595), ვერნის (1828-1905) რომანები, კალვინ (1923-1985), რომელიც კიდევ ერთხელ აღწერს მთვარეს, როგორც უზარმაზარ სათამაშო ბურთს, მასზე ყველას ადვილად მიუწვდება ხელი, თუნდაც ნავიდან მიდგმული კიბით, ხოლო ის, ვინც ფიზიკურად ვერ შეეხება მთვარეს, ისლა დარჩენია განჭვრეტას მიეცეს, განჭვრეტა კი შეუძლია მას, ვინც ეძიებს და ვისაც სწამს...

ბიბლიაში 55-ჯერ მაინც ჩნდება მთვარე: პირველად დაბადების წიგნის 37-ე თავში იოსების, იაკობის ძის, ცნობილ სიზმარში: მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი, რომებიც თაყვანს სცემდნენ მას.

გირჩევთ, საალდგომო ცისკრისას, 30-დან 31 მარტამდე, ახედოთ ცას და მიეცეთ განჭვრეტას; ამ ღამით ახალი ცეცხლი იკურთხება, ალდგომის კანდელი აინთება... ყველაფერი

აღესრულება მთვარით განათებული, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, მთვარით, რომელიც 25 მარტიდან, ასტრონომების აზრით, სავსე მთვარედ იქცევა, გაზაფხულის მთვარედ, მძინარე მთვარედ ჩინელებისთვის, ქარის მთვარედ კელტებისთვის, წმიდა მთვარედ ვიკანებისთვის, მოსავლის მთვარედ... და ალდგომის მთვარედ, როდესაც ბნელი ჟამი კიდევ უფრო შესუსტდება, რადგან მზე სწრაფად „აღმოიწევს“, „როგორც ნეფე თავისი საქორწინო სარეცელიდან“ (შდრ. ფსალმ. 18). მაგრამ მაშინ რატომ იქნება ეპრაული პასექი 26 აპრილს?

გირჩევთ, ასევე, მთვარეს ახედოთ 5 მაისს (რაც სინამდვილეში, იულიუსის კალენდრით, 22 აპრილია), როდესაც სხვადასხვა მართლმადიდებელი ეკლესია ალდგომას აღნიშნავს; შეესაბამება თუ არა ეს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც 325 წელს მიიღო ნიკეის კრებამ (გაისად 1700 წელი აღინიშნება ამ კრების გამართვიდან), რომლის თანახმადაც ქრისტიანული ალდგომა უნდა აღინიშნოს გაზაფხულის სავსემთვარეობიდან პირველ კვირადლეს?



# კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რუსულად ავალიზაციი

## მოსაპრებელი „PRO TERRA SANCTA“ ღაზას წმიდა ოჯახის სამრევლოს მოხმარდება



1974 წელს სამოციქულო დარიგებით „Nobis in Animo“ პავლე მეექსემ მთელი მსოფლიოს კათოლიკებისთვის ვნების პარასკევი წმიდა მინისთვის („Pro Terra Sancta“) მოსაკრებლის დღედ დააწესა. ჩვეულებრივ, შემონირულობათა 65% გადაეცემა წმიდა მიწაზე მოღვაწე ფრანცისკელთა ორდენს, რომლის მესვეურები მიღებულ თანხას ჰუმანიტარული მიზნებისთვის (სოციალურად დაუცველთა განათლება, ჯანდაცვა, საცხოვრისით უზრუნველყოფა და ა.შ.) იყენებენ. თანხის 35% გადაეცემა აღმოსავლური ეკლესიების დიკასტერიას მღვდლებისა და სემინარისტების ხელშეწყობისთვის და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისთვის. გასულ წელს მოსაკრებელმა 7 მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა. ფონდის „Pro Terra Sancta“ გადაწყვეტილებით, ამ წლის ვნების პარასკევის შემონირული თანხა სრულად გადაეცემა ღაზას წმიდა ოჯახის სამრევლოს. „ომის დაწყების დღიდან ამ რეგიონში მცხოვრები ათასობით ოჯახი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. პაპი ფრანცისკე მუდამ გამოხატავს სიახლოვეს იმ ადამიანთა მიმართ, ვინც ამ კონფლიქტის გამო დაზარალდა. იგი ხელს შეუწყობს ჰუმანიტარულ პროექტებს, რომლებიც ამ ადამიანებს ცხოვრე-

ბას შეუმსუბუქებს“, - აღნიშნა აღმოსავლური ეკლესიების დიკასტერიის პრეფექტმა, კლაუდიო გუჯეროტიმ. ბენეფიციართა შორის არიან როგორც წმიდა ოჯახის სამრევლოს წევრები, ასევე უსახლკაროდ დარჩენილი ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებიც სამრევლოს შეეხიზნენ. გარდა ამისა, ფონდი „Pro Terra Sancta“, კარიტასთან და წმიდა მიწის ლათინურ საპატრიარქოსთან ერთად, დახმარებას უწევს იშვიათი გენეტიკური დაავადების, ბულოზური ეპიდერმოლიზის მქონე იცდაცამეტ ბავშვს.

## კოპტურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ კათოლიკე ეკლესიასთან დიალოგი შეაჩერა

2024 წლის 7 მარტს კოპტური მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა განაჩინა: „აღმოსავლეთის და ეკლესიებთან თათბირის შემდეგ გადაწყდა, შეჩერდეს საღვთისმეტყველო დიალოგი კათოლიკე ეკლესიასთან, გადაიხედოს ოცი წლის წინ დაწყებული დიალოგის შედეგები და დადგინდეს ახალი სტანდარტები და მექანიზმები მომავალი დიალოგისთვის“. ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა რწმენის მოძღვრების დიკასტერიის დეკლარაცია „Fiducia supplicans“, რომლის თანახმად მოძღვარს შეუძლია ერთსქესიან ურთიერთობაში მყოფ მოწმუნეთა კურთხევა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ამგვარი კურთხევა



# პათოლიკა ეკლესია მსოფლიოში რუსულად ავალიზაციი

არ ნიშნავს ამ კავშირის მოწონებას, არ უტოლ-დება ქორწინების საიდუმლოებას ან რაიმე საღვთისმსახურო წესს, არ აქვს ლიტურგიული დანიშნულება და მხოლოდ სამოძღვრო ხასიათს ატარებს. ეკლესია არ რიყავს ადამიანებს, რომლებიც არ ცხოვრობენ ქრისტიანული ზნეობრივი მოძღვრების თანახმად, მაგრამ მორჩილებით ითხოვენ კურთხევას. მიუხედავად ამისა, დეკლარაციის მიმართ კრიტიკულ შენიშვნათა რიგი გამოითქვა. მაგალითად, მასში არაფერია ნათქვამი კურთხევის მიღებამდე მონანიებისა და ცხოვრების წესის შეცვლაზე.



## უკრაინის ოფიციალური პირები პაპ ფრანცისკუს პარიზიკებენ

შვეიცარიის ტელეკომპანიისთვის RSI მიცემულ ინტერვიუში უწმიდესმა ფრანცისკემ აღნიშნა: „ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი ისაა, ვინც ვითარებას აკვირდება, ადამიანებზე ფიქრობს და თეთრი დროშის აღმართვისა და მოლაპარაკებების გამბედაობა აქვს“ (წყარო: Catholic News Agency).

10 მარტს Twitter პოსტში (@DmytroKuleba) დიმიტრი კულებამ განაცხადა: „უძლიერესი ისაა, ვინც სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაში სიკეთის მხარეს დგას, არ ცდილობს მათ ერთ სიბრტყეზე მოთავსებას და ამას „მოლაპარაკებებს“ არ უწოდებს. ჩვენი დროშის ფერები ყვითელი და ცისფერია. ამ დროშის ქვეშ ვცხოვრობთ, ვკვდებით და ვიმარჯვებთ. სხვა დროშებს ჩვენ არასდროს აღვმართავთ“. უკრაინის ელჩიმა ვატიკანში, ანდრეი იურაშმა, NBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს არავინ მოუწოდებდა ჰიტლერის მიერ დაპყრობილ და მასთან მებრძოლ ერებს მშვიდობიანი მოლაპარაკებებისკენ. უკრაინის ბერძნული წესის კათოლიკურმა ეკლესიამ უწმიდესი პაპის სიტყვებს საგანგებო განცხადებით უპასუხა. „მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მხარის წარმომადგენლები, მათ შორის, თვით უწმიდესი პაპი, მოლაპარაკებების აუცილებლობაზე მიგვითოებენ, უკრაინელები კვლავაც განაგრძობენ თავიანთი თავისუფლებისა და ღირსების დაცვას სამართლიანი მშვიდობის მიღ-

ნევისთვის. მათ სჯერათ, რომ ღვთის ჭეშმარიტება გაიმარჯვებს“, - ნათქვამია განცხადების ბოლოს. საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა ასევე უკრაინის ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების საბჭომ. „ჩვენ, უკრაინის ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების საბჭოს წევრები, კატეგორიულად ვაცხადებთ: ვერავინ და ვერასდროს ვერ აიძულებს ჩვენს ხალხს კაპიტულაციას. მოზემე ბოროტების წინაშე კაპიტულაცია საყოველთაო სამართლიანობის იდეის განადგურების, უდიდესი სულიერი ტრადიციების ძირითადი პრინციპების ღალატის ტოლფასია“, - ნათქვამია განცხადებაში.

ამ განცხადების გაკეთების მომენტისთვის ინტერვიუ უწმიდეს ფრანცისკესთან ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. პაპის კრიტიკოსების თვალსაწიერში ინტერვიუს მხოლოდ მცირე, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ნაწყვეტი მოხვდა. 9 მარტს წმიდა საყდრის პრეს-ცენტრის ღირექტორმა, მატეო ბრუნიმ განაცხადა, რომ უწმიდეს პაპს არაფერი უთქვამს უკრაინის კაპიტულაციის შესახებ, „თეთრი დროშა“ კი ინტერვიუერის კითხვაში გაუდერდა. ინტერვიუერმა, ლორენცო ბუჩელამ, პაპს ჰკითხა: „უკრაინაში ზოგიერთები იარაღის დაყრისა და თეთრი დროშის აღმართვის გაბედულებაზე ლაპარაკობენ, სხვები კი ამბობენ, რომ ეს უფრო ძლიერი მხარის მოქმედებებს გაამართლებდა. თქვენ რას ფიქრობთ?“ თავისი პასუხით პაპმა მხოლოდ ის გაიმეორა, რაც არაერთხელ უთქვამს ამ ორი წლის განმავლობაში: მას სურს, რომ გამოინახოს პრობლემის დიპლომატიური გადაჭრის გზა და მშვიდობა დამკვიდრდეს. პონტიფიცების კიდევ ერთხელ გამოთქვა ორ ქვეყნას შორის შუამდგომლობის მზაობა.

## დიდმარხვის ზამო სულიერი მუსიკის თანხლებით

დიდმარხვა განსაკუთრებული დროითი მონაკვე-  
თია მორწმუნე ადამიანის ცხოვრებაში. ამ 40 დღის  
მანძილზე, აღდგომის პრინციპალე დღესასწაულის  
მოლოდინში, მორწმუნე ცდილობს, მონანებით,  
მოკრძალებული ყოფით, ყოველდღიურ სიამეთა  
თუ წყენისგან თავშეკავებით, სულიერად უფრო  
დაუახლოვდეს უფალს. ასეთ ჟამს კი ქრისტიან-  
ული მუსიკა ხელს უწყობს მომარხულე ადამიანს,  
და არა მხოლოდ მას, სული გაუხსნას უფალს, ამა-  
ღლდეს ყოველდღიურობაზე, გახდეს უფრო მეტად  
მომთმენი, გულმონაცალე და სათნო, იმედით აღ-  
სავსე და სიყვარულისთვის გახსნილი. შეიძლება  
თამამად ითქვას, რომ მიმდინარე დიდმარხვის პე-  
რიოდი განსაკუთრებული აღმოჩნდა თბილისელი  
კათოლიკებისათვის. დედაქალაქის ორივე კათო-  
ლიკურმა ტაძარმა გამორჩეული საჩუქარი გაუკეთა  
საკუთარ მრევლს და, მათთან ერთად, კლასიკური  
მუსიკის თბილისელ მოყვარულებს, ხოლო კათო-  
ლიკური მედია-პორტალის მეშვეობით ამ საჩუქა-  
რთან ზიარება დანარჩენი საზოგადოებისთვისაც  
გახდა შესაძლებელი.

დიდმარხვის წინა საღამოს, წმ. პეტრესა და წმ.  
პავლე მოციქულთა ტაძარში, მამა მიხეილ სურ-  
მავას ძალისხმევით გაიმართა საეკლესიო მუსი-  
კის კონცერტი „სულის მელოდია“, რომელშიც  
ქართველი და უცხოელი შემსრულებლები მონაწ-  
ილეობდნენ: ვანო სარაჯიშვილი (ნორვეგია), და-  
ვით ალადაშვილი (საქართველო), მარია ჩაჩავა  
(საქართველო), ანდრეას ბუნინი (დანია), ვასკო  
კანასტრა (პორტუგალია), ალექსეი სოლონოვიჩი  
(რუსეთი). მათი შესრულებით ტაძარში აუდირდა



ორლანი, ფლეიტა, ვიოლინო, ჩელო და კლავესინი.

კონცერტი დაიხურა საეკლესიო საგალობლე-  
ბით, რომელიც შეასრულა ტაძრის ახალმა გუნდმა, რომლის წევრები გასულ წელს რუსეთიდან საქა-  
რთველოს შემოფარებული კათოლიკები არიან. მგალობლებმა, დირიჟორ ევგენი ივანოვის ხელმძ-  
ღვანელობით, მალევე შეძლეს ახალ გარემოსთან  
შეგუებაც და ხმების შეწყობა, და ახლა სხვადასხ-  
ვა ენაზე, მათ შორის, ქართულადაც, ასრულებენ  
ქრისტიანულ საგალობლებს.

შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული  
მუსიკის კონცერტით „სულის მელოდია“  
საფუძველი ჩაეყარა დიდმარხვის წინა საღ-  
ამოს აღნიშვნის ტრადიციას. სწორედ მს-  
გავსი კონცერტით ხვდებიან დასავლურ  
ქრისტიანულ სამყაროში კათოლიკები და  
პროტესტანტული ეკლესიები დიდმარხვის  
დაწყებას.

უნდა აღვნიშნო, რომ წმ. პეტრესა და  
წმ. პავლე მოციქულთა კათოლიკურ ტა-  
ძარს 70-იანი წლებიდან ვსტუმრობდი, ჯერ  
კიდევ კონსტანტინე საფარიშვილის წინამდ-  
ღვრობის დროიდან, და მსგავსი დახვენილი  
საშემსრულებლო კონცერტი არ მახსოვს.  
მადლობა მამა მიხეილ სურმავას მისი ორ-  
განიზებისათვის. მან მართლაც განახლების



# ჩვენი ეკლესია ცუგზარ გარდაველიძე

ახალი სუნთქვა შთაბერა სამრევლოს. ტაძარი სავსე იყო ახალგაზრდებით, ადგილობრივი და რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში იმი-გრირებული კათოლიკებით და, ზოგადად, კლა-სიკური მუსიკის, განსაკუთრებით ორგანისა და კლავესინის, მოყვარულებით. მართლაც კარგი და ჯეროვანი პირველი აკორდია დიდმარწვის დასაწყებად.

## უდიდესი საჩუქარი საორგანო მუსიკის მსმენელთათვის

მეუფე ჯუზეპე პაზოტომ, სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის სამოციქულო ადმინისტრაციის შექმნის 30-ე წლისთავზე, ქართველ კათოლიკებ-სა და, ზოგადად, კლასიკური მუსიკის მოყვარულებს, საოცარი საჩუქარი გაუკეთა. გასულ წელს საკათედრო ტაძარში გერმანიდან ჩამოიტანეს და დაამონტაჟეს თავისი უღერადობით მართლაც უნიკალური საეკლესიო ორგანი. თავის საჯარო წერილით, გასული წლის 9 დეკემბერს, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ საკათედრო ტაძარში ახლად დამონტაჟებულ ორგანზე სასულიერო მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების მსურველ ორგანისტებს მიმართა:

„ვისურვებდი, რომ ეს ორგანი სათანადოდ მოექცეს ყურადღების ცენტრში და იყოს დიდი საჩუქარი მთელი ქალაქისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც ამ ინსტრუმენტის მუსიკა უყვარს... ამ ტაძარში წარსულში უკრავდა ორგანს ზაქარია ფალიაშვილი. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ მუსიკა ყოველთვის არის გზა, რომელსაც მივყვაროთ მშვენიერებისა და ჰარმონიისაკენ, უსასრულობისაკენ და, შესაბამისად, ღმერთისაკენ“.

ამგვარად, ეპისკოპოსის სურვილით, საფუძველი ჩაეყარა ტრადიციას „შაბათი

ორგანით“, რომელიც დიდ-მარწვის პერიოდში დაიწყო და გრძელდება. უკვე მესამე შაბათია, რაც საღამოები „შაბათი ორგანით“, თბილისის კათოლიკური სამრევლოების წევრებთან ერთად, არაერთ ადამიანს აერთიანებს ორგანის განუმეორებელი უღერადობის მოსასმენად.

24 თებერვალს, თბილისის საკათედრო ტაძარში, ორგანისტმა ვანო სარაჯიშვილმა (ნორვეგია) ორგანზე შესარულა იოპან სებასტიან ბახის ხუთი ნაწარმოები, რომლებიც დიდ-

მარწვის თემას შეეხებოდა. „დღევანდელი პრო-გრამა მთლიანად იოპან სებასტიან ბახის ნაწარ-მოებებისგან შედგება. ზოგადად, ორგანისტების პროფესიაში კარგ ტონად არ მიიჩნევა საეკლესიო დროისათვის შეუფერებელი ქორალების დაკვრა, ამიტომ ის ქორალები, რომლებიც დღეს ავარჩიე, სამარწვო, სააღდგომო თემატიკისაა“, — აღნიშნა ორგანისტმა დასაწყისში.

9 მარტს, მესამე საღამოზე „შაბათი ორგანით“, მსმენელთა წინაშე წარდგა ალექსანდრე ნათელაშვილი. შესრულდა იოპან სებასტიან ბახის, გეორგ ფრიდრიხ შენდელის, იოპან იაკობ ფრობერგერის, შარლ დიუპარის, ლუი კუპერენის საორგანო ნაწარმოებები.

საორგანო მუსიკის დასრულების შემდგომ მეუფე პაზოტომ განაცხადა: „საორგანო მუსიკის საღამოები დიდმარწვის მერეც გაგრძელდება და მუდმივად იქნება. წმიდა პეტრე და წმიდა პავლე მოციქულთა ტაძარში ჩატარდება საეკლესიო მუსიკის კონცერტები, ხოლო საკათედროში - საორგანო მუსიკის საღამოები. ეს ტრადიცია არსებობს ევროპაში და თბილისში ვამკვიდრებთ, რომ კათოლიკურმა ტაძარმა საორგანო მუსიკის მსმენელებს მისცეს საშუალება, ეზიარონ ამ ღვთაებრივ მუსიკას. თბილისში ოთხი ორგანია, ორი - კათოლიკურ ტაძრებში და ორი - კონსერვატორიაში, სადაც ათწლეულების მანძილზე ეუფლებიან ორგანზე შესრულების ხელოვნებას. დღეისათვის ორმოცზე მეტმა ორგანისტმა გამოთქვა ჩვენს ტაძარში საორგანო მუსიკის საღამოებში მონაწილეობის სურვილი. მსურველები კიდევ სხვებიც იქნებიან, საკათედრო ტაძარი საუკეთესო საშუალებას მისცემს შემსრულებლებს, თავიანთი საშემსრულებლო ოსტატობა წარმოადგინონ ფართო აუდიტორიის წინაშე“.



## მომლოცველობა სთამბოლის ლურდის ლოტისმშობლის ტაძრის დღესასწაულზე

სტამბოლში ყოველწლიური მომლოცველობა უკავშირდება, ერთი მხრივ, ლურდის ლვთისმშობლის პირველ გამოცხადებას, რომელიც 11 თებერვალს მოხდა, ხოლო მეორე მხრივ, ქართველ კათოლიკეთა მიერ დაარსებული ლურდის ლვთისმშობლის ტაძრის დღესასწაულს.

სტამბოლში მამა ბექა ჩილინგარაშვილთან და მამა მიხეილ სურმავასთან ერთად გავემგზავრეთ. პირველ დღეს მოვილოცეთ წმ. ანტონ პაფულის ბაზილიკა. მეორე დღე საკმაოდ დატვირთული და შთამბეჭდავი იყო. მამა ბექამ, მამა მიხეილის თანამსახურებით, წირვა აღავლინა სულინმიდის გარდამოსვლის საკათედრო ტაძარში. წირვის შემდეგ გვქონდა ეკუმენური შეხვედრა მსოფლიო საპატრიარქო საყდრის არქიმანდრიტთან, მამა ილია ჯინჯოლავასთან. დღის მეორე ნახევარში ვესტუმრეთ ქართველ კათოლიკეთა სავანეს, სადაც ზაზაძეების ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს, ქ-ნ ნატალის შევხვდით. საუბრის დროს გავიხსენეთ ამ საოცარი სავანის ისტორია და ზაზაძეების ოჯახის ღვანლი თურქეთში ქართული მემკვიდრეობის შენარჩუნება-პატრიონბაში.

ქართველმა კათოლიკე მოძღვრებმა შეძლეს დაე-არსებინათ საკუთარი ქართველ კათოლიკეთა ძმობა, ქართული ენითა და ტიპიკონით, ამ ღირსეული საქმის ინიციატორი კი იყო სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, აღმსარებლობით კათოლიკე, პეტრე ხარისჭირაშვილი. ქ-ნი მანანა ქუთათელაძე თავის წიგნში „კათოლიკობა საქართველოში“ წერს: „სტამბოლის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიულ უბანში, ფერიქომი - ანგელოზთა სოფელში, იაკობ ზუბალაშვილის ფინანსური დახმარებით, 1861 წელს,

მოზრდილი მინის ნაკვეთი იქნა შეძენილი, სადაც წმიდა მარიამ ლვთისმშობლის ეკლესია - ნოტრდამ დე ლურდი აიგო. ეკლესის მიმდებარედ მამათა და დედათა მონასტერი დაარსდა, რომელთაც პაპ პიუს IX-მ, საგანგებო დეკრეტით, ლიტურგიაში ქართული ენის გამოყენების უფლება მისცა...“ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა მონასტერთან სასწავლებელიც დაარსდა.

1966 წელს ქართველ კათოლიკეთა სავანის საუკუნოვანი ისტორია დაგვირგვინდა სტამბოლის კათოლიკური საზოგადოების ფონდის შექმნით. ფონდის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პავლე ზაზაძე და მას ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე, 1989 წლამდე. პავლე ზაზაძის საქმიანობას აგრძელებდა მისი შვილი სიმონ ზაზაძე. 2000 წელს თურქეთში ჩამოყალიბდა თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდი, რომელსაც სიმონ ზაზაძე ხელმძღვანელობდა შვილთან, პავლე (პოლ) ზაზაძესთან, ერთად. ახლა სიმონ ზაზაძის საქმეს აგრძელებს მისი ვაჟი, პოლ ზაზაძე, დასთან, ნატალისთან, ერთად.

11 თებერვალს შევიკრიბეთ ლურდის ლვთისმშობლის ეკლესიაში, სადაც საქართველოს დროით 11:00 საათზე სადღესასწაულო წმ. წირვა დაიწყო. ლიტურგიაში მონაწილეობა მიიღო ჩვენმა თერთმეტკაციანმა ჯგუფმა, ადგილობრივ სამრევლოსთან ერთად. წმ. წირვა თურქეულ ენაზე აღევლინებოდა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ულამაზესი სასულიერო მუსიკა, რომელმაც გაიჟდერა ლიტურგიის დროს. წმ. წირვის შემდეგ ქ-მა ნატალი ზაზაძემ პიცერიაში დაგვპატიჟა, სადაც გაგრძელდა წინადღეს დაწყებული საუბარი. ქ-მა ნატალიმ გავაცნო ისტორიკოსი რინალდო მარმარა, რომელმაც მოიპოვა წმიდა საყდრის არქივში დაცული დოკუმენტები და გამოუშვა წიგნი „დოკუმენტები ქართული ეკლესის ისტორიისთვის“. შეხვედრა გაგრძელდა ფონდის ბიბლიოთეკაში, სადაც შემონახულია უამრავი ისტორიული და საარქივო მასალა, რომლის შენარჩუნება, დამუშავება და დაცვა სწორედ ზაზაძეების ოჯახის წყალობით გახდა შესაძლებელი. ნიშანდობლივია, რომ იქვე არის დაცული პეტრე ხარისჭირაშვილის გული!

მომლოცველობა არის ადამიანის სულიერების ერთ-ერთი უძველესი გამოხატულება და შემთხვევითი როდია, რომ ის ცნობილია თითქმის ყველა რელიგიაში. მნიშვნელოვანი მოვლენისა თუ ისტორიის გარკვეული პერიოდის სიღრმისეული გააზრება, სულიერ ფასეულობებთან მიახლოება ემსახურება მომლოცველის შინაგანი სამყაროს გამდიდრებას.





## სახარების სიხარული აღდგომის სამდლეულის ხალხურ ტრადიციებში

ლიტურგიული წლის უმ-  
თავრესი მოვლენა აღდგომის  
დიდლესასწაულის აღნიშვნაა:  
ის იწყება დიდ ხუთშაბათს სალა-  
მოს წირვით, „Coena Domini“-  
ით, გრძელდება დიდ პარასკევს  
და დიდ შაბათს უფლის ვნების,  
სიკვდილისა და დამარსვის გა-  
სენებით, შაბათისა და კვირად-  
ლის მიჯნაზე სააღდგომო ცის-  
კრით და მთავრდება აღდგომის  
კვირის მწუხრის აღნიშვნით;  
სწორედ ამ პერიოდს ეწოდება  
სააღდგომო სამდლეული. სამ-  
დლეულის რიტუალები მთელ  
ქრისტიანულ სამყაროში აღინ-  
იშნება მორწმუნეთა მხურვალე  
მონაწილეობით. საუკუნების  
განმავლობაში თითქმის ყვე-  
ლა ეკროპულ კულტურაში და  
მის ფარგლებს გარეთაც აღდ-  
გომის სამდლეულის ეკლესიის  
ოფიციალურ ლიტურგიას თან  
ახლდა ხალხური ღვთისმოს-  
აობაც, რაც გამოიხატებოდა

იესოს ვნების, სიკვდილის, დამ-  
არხვისა და მკვდრეთით აღდ-  
გომის გალობებით, ამ თემებზე  
გამართული სასცენო წარმოდ-  
გენებით, სადაც გამოკვეთდ-  
ნენ მნიშვნელოვან მომენტებს:  
ლალატი, დაპატიმრება, გაშ-  
ოლტვა, დაცინვა, ეკლის გვირ-  
გვინის დადგმა, გოლგოთაზე  
ასვლა, ჯვარცმა, დაკრძალვა  
და გამოცხადებები. ხალხური  
ღვთისმოსაობა „დრამატულად“  
წარმოაჩენდა იესოს ცხოვრებ-  
ისეული ფაქტების ისტორი-  
ულ ჭეშმარიტებას, ქრისტეს  
ვნების, სიკვდილისა და აღდგო-  
მის ზოგიერთ ასპექტს, უფრო  
მძაფრად, ვიდრე თავად სახ-  
არებები. ისიც უნდა აღინიშნოს,  
რომ სახარებისეულ ფაქტებთან  
შეუსაბამობა ოდნავადაც არ ცვ-  
ლის ამ რიტუალების სიღრმესა  
და სიმართლეს. როდესაც მენ-  
და კვირის რიტუალების წარმო-  
მავლობას ვეცნობით, კერძოდ,

სააღდგომო სამდლეულსა და  
ხალხური ღვთისმოსაობის რე-  
ლიგიურ ადათებს, ვხვდებით,  
რომ მათ წარმოშობას ის ფაქტი  
განაპირობებდა, რომ ხალხს არ  
ესმოდა ლათინურ ენაზე აღ-  
სრულებული ლიტურგია. 70-  
იანი წლების ლიტურგიული  
რეფორმის შემდეგ თანდათან  
გაუფერულდა კონტრასტი  
ოფიციალურ ლიტურგიასა და  
ხალხურ ღვთისმოსაობას შო-  
რის, რამაც განაპირობა ეგრეთ  
წოდებული „ხალხური რელიგი-  
ურობის“ სულ უფრო მეტად  
შემცირება. სინამდვილეში, ეს  
იყო არა ლიტურგიის „ახსნა-  
განმარტებითი“ რიტუალები,  
რომელიც სხვაგვარად გაუგე-  
ბარი დარჩებოდა - ხალხს კი  
ძალიან კარგად ესმოდა ეს - არ-  
ამედ ერთი და იმავე დღესას-  
წაულების თანმიმდევრული და  
ლოგიკური განვითარება ეკლე-  
სისა და ლიტურგიის გარეთ.

# საგანგებო ჩანართი



დასაბამითვე, წმინდა წარმოდგენის აქტი განეკუთვნებოდა უფრო ლოცვით სფეროს, ვიდრე გართობა-სანახაობითს. ამ წარმოდგენების გმირები არიან არა უბრალოდ „მსახიობები“, არამედ ერთგული მორწმუნები, რომლებიც მთელი თავიანთი არსებით, სულითა და სხეულით, ისიგრძეგანებდნენ წარმოდგენილ წმიდა საიდუმლოს. ამიტომ, ამ რიტუალებთან დაკავშირებით, უფრო სწორი იქნებოდა გვესაუბრა ღვთისმოსაობის ხელახლა აღსრულებაზე, გახსენებაზე (წარმოდგენა = მოგონება), რომლის ერთადერთი მიზანიც იყო მორწმუნებში ღვთისადმი მოწინების გაძლიერება. მაშასადამე, ღვთისმოსაობა ქმნის სანახაობას, ხოლო სანახაობა გამოხატავს ღვთისმოსაობას: მხოლოდ ამ დინამიკაში გავიგებთ სრულად იმ საკრალურ დრამატურგიას, რომელიც ვითარდება უფლის აღდგომის საიდუმლოებების ირგვლივ.

## რას ნიშნავს ხალხური ღვთისმოსაობა?

„გამოთქმა „ხალხური ღვთისმოსაობა“ აღნიშნავს პირად ან საკრებულო ხასიათის სხვადასხვა საკულტო გამოვლინებების ირგვლივ.“

2002, N.9). ხალხურ ღვთისმოსაობასა და ლიტურგიას შორის სხვაობის აღსანიშნავად იგივე დოკუმენტი საუბრობს „ანამნეზის, ვნების მაცხოვნებელ მოვლენათა იდუმალ არსებობაზე“ და „მიმესისზე“, როგორც იდენტიფიკაცია ფაქტისა ხალხური ღვთისმოსაობის ხასიათში.

„ხალხურ ღვთისმოსაობაში, რამდენადაც ის „ინკულტურაციული“ სახარების ნაყოფია, დევს აქტიური ევანგელიზაციური ძალა, რომელიც შეუფასებელი არ უნდა დარჩეს: სხვაგვარად, ეს სულინებიდის



ბას, რაც ქრისტიანულ რწმენაში უმთავრესად გამოიხატება არა წმინდა ლიტურგიის ფორმებში, არამედ ხალხის გენიდან, ეთნიკური ჯგუფიდან ან მისი კულტურიდან აღმოცენებულ ფორმებში. ხალხური ღვთისმოსაობა, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული „ღვთის ხალხის ჭეშმარიტ საგანძურად“, „გამოხატავს ღმერთის წყურვილს, რომელიც მხოლოდ უბრალო და ღარიბმა ადამიანმა შეიძლება განიცადოს; მას გმირობამდე აჲყავს ადამიანის კეთილშობილება და მსხვერპლი, როცა საქმე რწმენის გამოვლენას ეხება; გულისხმობს ღმერთის სიღრმისეული მახასიათებლების განცდას: მამობრიობა, განგებულება, სიყვარული და მუდმივი მყოფობა; ბადებს შინაგან დამოკიდებულებებს, რაც სხვაგან იშვიათად განიცდება იმავე ხარისხით: მოთმინება, ჯვრის ტვირთვა ყოველდღიურ ცხოვრებაში, განცალკევება, სხვებისადმი გახსნილობა, ერთგულება“ (შდრ.: საღვთო კულტისა და საკრამენტების დისციპლინის კონგრეგაცია, ხალხური ღვთისმოსაობისა და ლიტურგიის დირექტორიუმი, პრინციპები და ორიენტირები; ვატიკანი,

საქმის უგულებელყოფა იქნებოდა” (Evangelii Gaudium, 126), - ამგვარად, რომის პაპი ფრანცისკე მოგვიწოდებს, დავათასოთ ხალხის ღვთისმოსაობის უნარი სახარების გავრცელების საკითხში, მისი მრავალსაუკუნოვანი ინკულტურაციის წყალობით, რომლის საფუძველზე დღესაც ახერხებს ადამიანთა გულების განწყობას, უბრალო და ღარიბი, მორეული და გაფანტული ხალხი. ამიტომაც გახდა შესაძლებელი სახარების ყველგან მიტანა, განსაკუთრებით იმ კუთხეებში, რომლებიც



გულგრილობას იჩენდნენ ქრისტიანული განათლების მიმართ. აქტუალური გახდა ევანგელიზაციის ახალი ფორმები: უფრო მიმზიდველი, ვიდრე მხოლოდ ქადაგება, რომელიც უფრო მეტად ემოციური იყო, ვიდრე შეგონება, რომელიც ქრისტიანულ საიდუმლოს წარმოადგენდა მეტად ახლოს ადამიანის ყოფიერების დრამასთან, ლამის ფიზიკურობის ტრაგიკულ აღწერამდე. ამ გამომხატველი ფორმების ნიმუშს წარმოადგენდა წმინდა წარმოდგენები, რომლებიც შუა საუკუნეებიდან იზიდავდა მორნმუნებს ეკლესიებში, საძმოებში, საკათედრო დარბაზებში... ეს ერთგვარი გასვლა იყო ღვთისმსახურების ადგილებიდან და ამ წარმოდგენების თეატრალურობის განწყობა სანახაობითი ექსცესებისაგან. ასე დაიპადა მსვლელობები და ღვთისმსახურების არაერთი ფორმა, რომლებმაც ჩვენს დღეებამდე მოალწია და რომლებსაც თავიანთი პრივილეგირებული მომენტი ჰქონდა ვნების კვირის დღეებში და, განსაკუთრებით, დიდ პარასკევს.

ამრიგად, წმინდა დრამა თანდათანობით იღებდა პროცესიულ, მსვლელობით ფორმას,

მსახიობები ჩანაცვლა ქანდაკებებმა და გალობები სულ უფრო მეტად ატარებდა საგუნდო ხასიათს, სადაც უკვე ყველა მორნმუნე იყო ჩართული. იესოსა და მარიამის ქანდაკებების „შეხვედრები“, რომელიც მსოფლიოს მრავალ კუთხეში იმართება, რათემა უნდა, არის წმინდა წარმოდგენების მემკვიდრეობა, ხანდახან ქანდაკებების მატარებლების ან ანგელოზის ფორმებში გამოწყობილი ბავშვების წაყალობით, რომლებსაც „საიდუმლოების“ ქანდაკებებთან ერთად ვნების იარაღებიც მოაქვთ; წმიდა დრამისთვის ასევე დამახასიათებელია ტრადიციული დიდი პარასკევის საგალობლების დიალოგური ხასიათი, რომლებსაც დღემდე მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ამ მოვლენებში.

მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია გავიგოთ ჯვრის დიდი თეორიები ჯვრის მზიდავთა (კაპიშონიანი მორნმუნები, რომლებიც მძმიერ ხის ჯვრებს ზიდავენ დიდი პარასკევის მსვლელობისას), ან თუნდაც ე.წ. „საკუთარი თავის გამშოლტველთა“ (battenti) არსებობა: მორნმუნე თავად განიცდის უფლის ვნებას, კონკრეტულად შეიგრძნობს ვნების განცდებს.

# საგანგებო ჩანართი



სანახაობით მოვლენებში ასე-  
თი სრული იდენტიფიცირების  
კიდევ ერთი მახასიათებელია  
ყოველი დეტალის აღდგენის  
შესაძლებლობა, თითქოს მორ-  
ნებუნე იქ ფიზიკურად იმყოფე-  
ბოდა; მაგალითად, შეგვიძლია  
გავიხსენოთ დიდი პარასკევის  
პროცესის გალობები, სადაც  
აღწერილია თუ როგორ ეძებს  
ღვთისმშობელი თავის ძეს მი-  
ნიერი ცხოვრების ბოლო ჟამს,  
მოციქულ იოანესთან მისი შეხ-  
ვედრის წუთები, ან თუნდაც,  
როდესაც მიმართავს მჭედელს,  
რომელიც ჯვარცმისთვის სამ-  
სჭვალებს ამზადებს.

ხალხური რიტუალების ფარ-  
თოდ გავრცელება და მასში  
მონაწილეობა იმას მოწმობს,  
რომ ტანჯული და ჯვარცმული  
ქრისტეს ჭვრეტისას ყოველი  
ადამიანი, ყოველი ხალხი ხე-  
დავს საკუთარ ტკიფილს, სა-  
კუთარ ადამიანურ მდგომარეო-  
ბას, ბედუკულმართობას, თავის  
ისტორიას. შესაძლოა, სწორედ  
ამ მიზეზით არის დაწესებული  
ყველა მსვლელობისას ჯვარც-  
მა, რომლისკენაც მიპყრობი-  
ლია თვალები, გული, აზრები  
და ლოცვები. ჯვარცმული იესო  
სიმბოლოა ყველა იმ ღარიბი  
ქრისტიანისა, ვისაც ისტორიის

სცენაზე გაუვლია. ანალოგიურია  
ღვთისმშობლის მიმართ ხალხ-  
ური ღვთისმოსაობის გამომხ-  
ატველი ფორმები. არაერთი  
კომპოზიცია, ლოცვა და გალობა  
გამხდარა შთაგონების წყარო იმ  
იკონოგრაფიისა, რომელიც „პი-  
ეტას“ სახელით არის ცნობილი  
და სკანდინავიაში ჩაისახა (შესა-  
ძლოა გერმანიაშიც, XIV საუკუ-  
ნეში), მასში წმიდა ღვთისმშო-  
ბელი ქედს იხრის ჯვრიდან  
გარდამოხსნილი ძის წინაშე და

ეხვევა მის ფიგურას. მარიამს  
მკლავებზე ჰყავს დასვენებული  
იესოს სხეული და ეამბორება  
მას. უსიცოცხლო შვილის შემყ-  
ურე ღვთისმშობლის ტკივილის  
ჭვრეტით გამოწვეული ემო-  
ციური სიმძაფრე მეტყველებს  
საყოველთაოდ გავრცელე-  
ბულ მოთხოვნილებაზე, რომ  
ღვთისმშობელი იხილონ აღმდ-  
გარის გამოცხადებების პირველ  
თვითმხილველთა შორის. ის,  
ვინც დაკავშირებული იყო  
ქრისტეს ვნებასთან, ვინც გულში  
იმარხავდა მკვდრეთით აღდგო-  
მის რწმენას, დიდი შაბათის მდუ-  
მარებაში, უდავოდ იმყოფებოდა  
მკვდრეთით აღმდგარის პირველ  
მნახველთა შორის. ეს ფაქტი  
იმდენად აშკარა უნდა ყოფილ-  
იყო, რომ არცერთ მახარებელს  
არ უგრძვნია მისი აღნიშვნის  
აუცილებლობა. მაგრამ ეკლე-  
სის ცოცხალ ტრადიციას ყოვ-  
ელთვის და მყარად სწამდა და  
აღნიშვნავდა აღდგომის დღესას-  
წაულზე მარიამის, მკვდრეთით  
აღმდგარის დედის, „სიხარულს“.



## საკანონმდებლო ცვლილება - ძალის მობილიზება სიცოცხლის გადასარჩენად

ჯანდაცვის მინისტრის მიერ აბორტის ხუთდღიან მოსაფიქრებელ ვადაში ცვლილებების შეტანამ დღიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ცვლილებები შეეხო მედიკამენტური აბორტის ვადის შემცირებას, მისი ჩატარების ადგილს, ექიმის კვალიფიკაციას და პასუხისმგებლობის საკითხს... ასევე, წინასაკონსულტაციო ჯგუფში, გინეკოლოგთან ერთად, ფსიქოლოგისა და სოცმუშაკის ყოფნის აუცილებლობას და 12-დან 22 კვირამდე სამედიცინო ჩვენებით აბორტის დასაშვებ დაავადებათა ჩამონათვალის გაზრდას.

გასაკვირია, რომ ხმაური ატყვა ისეთ ცვლილებაზე, რომელიც ფსიქოლოგისა და სოცმუშაკის კონსულტაციას მოიაზრებს, რომ არ გვყავს ამ მხრივ გადამზადებული სპეციალისტები, თუ ვინ გადაიხდის მათ ხელფასს და ხომ არ გაძვირდება აბორტი, რომ ქალის სურვილი და გადაწყვეტილება უარყოფილია და მასზე ძალადობენ, რომ ირღვევა კონფიდენციალურობა და ასე შემდეგ. მესმის, რომ ექიმიც ვალდებულია, ძალადობის ნიშნების შემჩნევისას, აცნობოს შესაბამის ორგანოებს, მაგრამ ზედმეტს ხომ არ ვითხოვთ მისგან, როცა ამ კუთხით, სოცმუშაკს და ფსიქოლოგსაც არ ვენდობით. ფსიქოლოგზე მეტად ვის შეუძლია დახმარება, როდესაც ხედავს დილემას გადაწყვეტილების მიღებისას.

სოცმუშაკი კი, მთელი თავისი ცოდნით, გამოცდილებით და შესაბამისი გამაძლიერებელი სერვისების მიწოდებით, დაეხმარება ქალს, რომ გადაიფიქროს აბორტი. ჩვენ ძალიან შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მხოლოდ ესაა საკმარისი აბორტის პრევენციისთვის, შობადობის ზრდისთვის. მთავარია სწორი საოჯახო პოლიტიკა და ოჯახის მიჩნევა ქვეყნის ქვაკუთხედად, რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრევენცია, რეპროდუქციული უფლებებისა და ოჯახის ბუნებრივი მეთოდის გზით დაგეგმვის ცოდნა. რატომ არ ვიღებთ ამ მხრივ სხვა ქვეყნებს ორიენტირად და არავის ვეჯიბრებით ამ მიმართულებით, არ ვაფიქ-სირებთ რეიტინგს და არ ვითვლით ადგილებს?!



ზარებს სხვა მიმართულებით უნდა შემოვკრათ, გადავხედოთ დაავადებათა ახალ ნუსხას, სადაც კიდევ მეტი თავისუფლება მიეცათ ადამიანებს, „კანონიერად“ გაიმეტონ სასიკვდილოდ მუცლად-მყოფი პატარები და განაჩენი გამოუტანონ ისეთ დაავადებათა შემთხვევაშიც კი, რომელიც იკურნება, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენთან - არა. რატომ ვწუხვართ აბორტის ბარიერების გამო, მით უფრო, თუ ეს მოკლე ვადა მხოლოდ სასურველ აბორტს ეხება!

მხოლოდ სწორი და ძლიერი საოჯახო პოლიტიკა, რომელშიც აუცილებლად მოიაზრება პრენატალური და ჩასახვამდელი პრევენცია, გადაარჩენს ადამიანებს აბორტის ცოდვისაგან და მოგვცემს უფრო ჯანმრთელ მომავალს.

დავუშვათ, რომ ეს ახალი ცვლილებები მართლაც აბორტის ხელოვნური ბარიერია, რომ კანონის სჭირდება ბენეფიტი, რომ ქალს ეს პროცედურა გაუძვირდება, არ ფიქრობთ, რომ აბორტს გადარჩენილი ერთი სიცოცხლეც ამად არ ღირს?! რომ იგი ერთი გალიმებითაც კი იხდის ნაჩუქარი სიცოცხლისთვის საფასურს?! ნუ გავიქვავებთ გულებს და ნუ დავინახავთ პრობლემას იქ, სადაც არ არის, პირიქით, ცვლილებებს რეალურად შევხედოთ და შევძლოთ იმისი დანახვა, რაც მართლაც საგანგაშოა.

ციხო ჟლენი

## ეორელი „ალელუია“ - სიხარულის პიმი



ყოველი ქრისტიანისთვის ცონბილია პოპულარული ქორალი „ალელუია“, რომელსაც თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ასრულებდა სხვადასხვა გუნდი. ეს ჰიმნი, ჩვეულებრივ, უღერს განსაკუთრებულ დღესასწაულებზე, როგორიცაა აღდგომა და შობა. მისი მოსმენისას სულიერად მაღლდები, გსურს გუნდთან ერთად იმღერო.

ამ საეკლესიო ქორალის ავტორია ბაროკოს ეპოქის გერმანელი კომპოზიტორი გეორგ ფრიდრიხ ჰენდელი (Georg Friedrich Händel, 1685-1759), რომლის შემოქმედება იმდროინდელი მუსიკის თითქმის ყველა უანრს მოიცავს.

ჰენდელი დაიბადა გერმანიაში, მდიდარი ექიმის ოჯახში. მისი მშობლები საკმაოდ რელიგიურები იყვნენ, გეორგის დედა ლუთერელი მღვდლის ქალიშვილი იყო. ჰენდელის მამას სურდა, რომ ვაჟიშვილი იურისტი გამხდარიყო და ყოველნაირად ენინაალმდეგებოდა მის ლტოლვას მუსიკისადმი, რადგან იგი იცავდა გერმანიაში მტკიცედ დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ მუსიკოსობა არ არის სერიოზული პროფესია, არამედ მხოლოდ გასართობი.

გარეშე პირებმა შეამჩნიეს გეორგის უჩვეულო ნიჭი და შეეცადნენ მამამისის დაყოლიებას, რომ ბიჭი გაეგზავნა მუსიკალურ სკოლაში. ეს უკანასკნელი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა. 1694 წელს ჰენდელმა

სწავლა დაიწყო ქალაქ გალეში, ფრიდრიხ ვილჰელმ ზახაუსთან (Friedrich Wilhelm Zachow), რომელიც კომპოზიტორი და ორგანისტი იყო. მასნავლებლის სტილის გავლენა ჩანს ჰენდელის ზოგიერთ ნაწარმოებში, მაგალითად, ჰიმნში „ალელუია“.

ნიჭიერი ბიჭუნა რამდენიმე წლის შემდეგ უკვე მუსიკალურ ნაწარმოებებს ქმნიდა. ოცი წლის ასაკში ჰენდელს უკვე იცნობდნენ მუსიკოსები და მუსიკის მოყვარულები იტალიასა და ინგლისში. იგი ძალიან ნაყოფიერი კომპოზიტორი იყო, წერდა ბევრ კარგ ნაწარმოებს დროის მცირე მონაკვეთში. მუსიკა მასში ისე სწრაფად იბადებოდა, რომ ძლივს ასწრებდა მის ჩაწერას. იმ დროისათვის ჯერ კიდევ უცნობი კომპოზიტორი ბახი ჰენდელთან შეხვედრაზე ოცნებოდა, მაგრამ ეს შეხვედრა არა და არ შედგა.

დიდება მუდამ თან სდევდა ჰენდელს, ის იყო ყველაზე ცნობილი და მაღალანაზღაურებადი კომპოზიტორი მთელ ევროპაში. იმ დროს ყველა ცდილობდა, პირველი მოხვედრილიყო მის კონცერტზე. მაგრამ თანდათანობით ჰენდელის დიდება ჩაქრა, რადგან ხალხს ყველაფერი სწყინდება. ადამიანებმა შეწყვიტეს მის კონცერტზე სიარული. ახალი ნაწარმოებები უკვე აღარავის აინტერესებდა და მაღლე კომპოზიტორს „ძველმოდური“ უწოდეს.

გეორგი იმ დროს ორმოცდაათი წლისა იყო. გაკოტრების, ინსულტისა და მხედველობის დაკარგვის შემდეგ ჰენდელი ლრმა დეპრესიაში ჩავარდა და იზოლირებული აღმოჩნდა. მაგრამ ერთ დილით მან მიიღო წერილი თავისი დიდი ხნის თაყვანისმცემლისაგან. კონვერტი სავსე იყო წმიდა წერილიდან ამოღებული ნაწყვეტებით. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებით შეეხო მოხუცი კომპოზიტორის გულს. ეს იყო თავად ლმერთის სიტყვები: „ანუგეშეთ, ანუგეშეთ ჩემი ხალხი“, - ამბობს თქვენი ლმერთი“ (ესაია 40, 1). ამან ისე იმოქმედა ჰენდელზე, რომ 1741 წლის 22 აგვისტოს განმარტოვდა და ისევ შეუდგა მუშაობას.

განცდილმა და გადატანილმა არ მოტეხა იგი, პირიქით, სასიკეთოდ იმოქმედა კომპოზიტორზე: ხასიათი უფრო ლმობიერი გაუხდა, მუსიკა უფრო მგრძნობიარე, ნაწარმოებებს კი მხოლოდ იესო ქრისტეს უძღვნიდა. სწორედ ამ ჰერიოდში ჰენდელმა შექმნა ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებები, მათ შორის, ქორალი „ალელუია“.

„ალელუია“ ბიბლიურ სიუჟეტებზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოების, ორატორია „მესიის“ შემადგენელი ნაწილია, ის ასრულებს მის შუა მონ-

# სახარების სიხარულის მოწვევი ვარიაცია ნოზაძე

აკვეთს. „მესიის“ უზარმაზარი და რთული პარტიტურა (თითქმის ორსაათნახევარი უღერადობა) ერთი ამოსუნთქვით დაიწერა ოცდაოთხ დღეში. ორატორიის მწვერვალი, გენერალური კულმინაციაა გუნდი „ალელუია“, რომელიც მიანიშნებს ლვთაებრივი ნების (აღდგომა) დღესასწაულზე და ახალი ეპოქის დასაწყისზე კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში.

ნანარმოებზე აღმაფრენით მუშაობისას, „ალელუიას“ დასრულების შემდეგ, თვალცრემლიან კომპოზიტორს აღმოხდა: „თითქოს ზეცა გაიხსნა და მე სამყაროს შემოქმედი ვიხილე“. ჰენდელის ცხოვრებაში ეს ყველაზე ბედნიერი ნამები იყო.

როდესაც ჰიმნი პირველად შესრულდა, ინგლისის მეფე გეორგ მეორე, რომელიც კონცერტს ესწრებოდა, ფეხზე წამოდგა, რათა გამოეხატა მონიჩება შემოქმედის მიმართ. მას შემდეგ, ყოველ ჯერზე, როცა ეს ნანარმოები სრულდებოდა, მთელი საზოგადოება ფეხზე დგებოდა. მეფის ბრძანებით, აუცილებელი გახდა ანგლიკანური ეკლესიის ყველა ტაძარში, „ალელუიას“ შესრულებისას, ფეხზე ამდგარიყვნენ, როგორც სახარების კითხვის დროს, და ისე მოესმინათ ქორალი, რომელმაც შეიძინა რელიგიური და ინგლისის ეროვნული ჰიმნის სტატუსი.

„ალელუიას“ რელიგიური პათოსი იმდენად ძლიერია, რომ მსმენელები საკონცერტო დარბაზიდან ტაძრის სივრცეში ჯადოსნურად გადაჰყავს. თითქოს მთელი კაცობრიობა დედამიწაზე, ზეცაში ანგელოზებთან ერთად, ხარობს და ადიდებს ღმერთს. „ალელუია“ მოვინანებით გახდა შობის მუსიკალური ატრიბუტი ინგლისურენოვან ქვეყნებში. ეს არის ხალხის ერთიანობის აქცია, რომელიც დაფუძნებულია საერთო სიხარულზე, რწმენასა და მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებზე.

გეორგ ჰენდელი კვლავ გახდა ცნობილი და სიცოცხლის ბოლომდე ქმნიდა ნანარმოებებს. მისი ცხოვრების მაგალითით ბევრმა გაიგო, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ნუგემის სიტყვებმა ყველაზე სასოწარკვეთილ ადამიანზეც კი და როგორ ამაღლებს ღვთის სიტყვა ჩაგრულთა სულს.

კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ „მესიას“ სხვადასხვაგვარად ასრულებდნენ. საშობაო კონცერტებზე ორატორიის მხოლოდ პირველი ნაწილი და გუნდი „ალელუია“ სრულდება. თუმცა ზოგიერთი ორკესტრი მას მთლიანად ასრულებს. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გუნდი დიდებულებითა და სადღესასწაულო განწყობით აუდიტორიას დღემდე აცვიფრებს.



## ერთი წლი რომის პაპთან დაუვიწყარი აუდიენციის შემდეგ



2023 წლის 13 თებერვალი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის წარმომადგენელთათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღი აღმოჩნდა. სწორედ ამ დღეს რომის პაპმა ფრანცისკემ უნივერსიტეტის თანამშრომლებს, პროფესორებს, მრჩეველთა საბჭოს წევრებსა და სტუდენტებს უმასპინძლა ვატიკანში პირად აუდიენციაზე.

ერთი წლის შემდეგ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად საბაუნში გაიმართა ღონისძიება, რომელსაც, უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და ვიზიტში მონაწილე პირების გარდა, ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრებიც, მათ შორის, წმიდა საყდრის საელჩოს წარმომადგენელი საქართველოში, მეუფე ალექსანდე რაჟინია (Mgr. Aliaksandre Rahinia), იტალიის ელჩი საქართველოში, მასიმილიანო დ'ანტუონო და უნგრეთის ელჩი საქართველოში, ანა მარია შიკო.

„დღეს ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რათა გავიხსენოთ მოვლენა, რომელმაც ღრმად აღნიშნა ჩვენი უნივერსიტეტის ისტორია: წმიდა მამასთან, პაპ ფრანცისკესთან შეხვედრა ერთი წლის წინ, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის დიდი მეგობრისა და გულშემატკივრის, მისი აღმატებულება უოზე აველინო ბეტენკურის უშუალო დახმარებითა და ჩარევით განხორციელდა. ეს შეხვედრა წარმოადგენდა უდიდესი მნიშვნელობისა და შთაგონების მომენტს მთელი ჩვენი აკადემიური საზოგადოებისათვის. (...) პაპ ფრანცისკეს ჩვენ შორის ყოფნამ გადმოვცა ისეთი ფუნდამენტური ლირებულებები, როგორიცაა თანაგრძობა, თავმდაბლობა და სიყვარული სხვების მიმართ. მან მოგვიწოდა, თავმდაბლობით ვემსახუროთ ცოდნასა და განათლებას და ვიშრომოთ გახსნილი და ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად უნივერსიტეტში. (...) ვიმედოვნებ, რომ ამ შეხვედრის სსოფლა შთაგვაგონებს, დაუღალვად ვიმუშაოთ აკადემიური გარემოს შესაქმნელად, რომელიც უნდა გახდეს იმედისა და პოზიტივის შუქურა ჩვენს საზოგადოებაში. დაე, ჩვენი უნივერსიტეტი იყოს ადგილი, სადაც ცოდნა საერთო სიკეთის სამსახურშია, სადაც სწავლა ფეხს უწყობს სხვების საჭიროებებზე ყურადღებასა და ზრუნვას“, - აღნიშნა მისასალმებელ სიტყვაში უნივერსიტეტის რექტორმა, მამა აკაკი ჭელიძემ.

# საპაუნის ქრონიკები მორალური დანართი

ამ დაუვიწყარი ვიზიტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ასევე უნივერსიტეტის დამფუძნებელმა, წმიდა საყდრის საელჩოს წარმომადგენელმა და უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ.

„აღნიშნული ვიზიტი ვატიკანში არა მხოლოდ საქართველოს ისტორიაში განუმეორებელ მოვლენას წარმოადგენს, არამედ ეს ნიშნავს მსოფლიოში ათასზე მეტი კათოლიკური უნივერსიტეტის არსებობის ფონზე უნივერსიტეტის განსაკუთრებულ აღიარებას. ხაზი გაესვა იმ მისიას, რომლის განხორციელებასაც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი ესწრაფვის და რომელიც მკაფიოდ გამოკვეთს უნივერსიტეტის უმთავრეს ღირებულებათა კონკრეტულ სახეს“, - აღნიშნავა ვაჟა ვარდიძემ, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ.

ვიზიტის უშუალო მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ პირადი გამოცდილება და შთაბეჭდილება გაეზიარებინათ სხვებისთვის. „ეს ვიზიტი ჩემთვის თითქოს ზეციდან გამოგზავნილი ნიშანი იყო, ვინაიდან სწორედ იმ დროს დაიგეგმა, როდესაც ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა და პაპთან ვიზიტი და მისგან კურთხევის მიღება ალბათ ყველაზე მეტად მჭირდებოდა. ამიტომ, ამ მოვლენის შესახებ აუცილებლად აღვნიშნავ ჩემს წიგნში“, - განაცხადა უნგრეთის ელჩმა, ქალბატონმა ანა მარია შიკომ.

შეხვედრას ფონად გასდევდა ამ დაუვიწყარი ვიზიტის ამსახველი ფოტორჩვენება. რომის პაპთან ვიზიტი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დაფუძნებიდან 20 წლის აღსანიშნავად დაიგეგმა, თუმცა კოვიდპანდემიის გამო მისი განხორციელება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი.



# ფილმის პრემიერა ია ცურავილი



## ეუთაისის კათოლიკები უნინ და დღეს

ამ სახელწოდებით გაიმართა დოკუმენტური ფილმის პრემიერა მიმდინარე წლის 10 მარტს ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში. ფილმის ავტორები არიან თბილისის ანგლიკანური ეკლესის პასტორალური ლიდერი თომა ლიპარტიანი და სომხური სამოციქულო ეკლესის წევრი არტურ მარტიროსიანი, რომლებმაც საკუთარი ხარჯებით დააფინანსეს ფილმის გადაღება. როგორც ავტორებმა აღნიშნეს, მათი მიზანი იყო ქუთაისის კათოლიკეთა თანადგომა. ფილმში ეტაპობრივადაა ნაჩვენები ქუთაისის კათოლიკეთა ისტორია: „ოქროს ხანა“ წარმოდგენილია ულამაზესი კათოლიკური ეკლესითა და სკოლით, ან-მყო ნაჩვენებია წართმეული და სადავოდ ქცეული ეკლესით და მომავლის რჩმენით, რომ წმიდა მარიამის უბინოდ ჩასახვის ტაძარი, რომელსაც ახლა ხარების ეკლესიას უწოდებენ, კათოლიკებს უკან დაუბრუნდებათ. ფილმში ნაჩვენებია ყაუხჩიშვილების, ფალიაშვილების, ოცხელების, მიზანდარების, ვარლამიშვილების, კოკოჩაშვილების, თუმანიშვილებისა და სხვა კათოლიკე ოჯახების სევდიანი ისტორიები. ჩვენებას ესწრებოდნენ ქუთაისის მერიის წარმომადგენლები, კათოლიკეები, მართლმადიდებლები, ანგლიკანური ეკლესიის მრევლი, სომხური სამოციქულო ეკლესის წევრები, უცხოელი სტუმრები აშშ-დან და კანადიდან, ასევე თბილისიდან ჩამოსული სტუმრები. ფილმის

პრემიერა ემოციებით სავსე აუდიტორიაში შედგა. ზოგი ტიროდა, ზოგი მადლობას იხდიდა, უმრავლესობა კი სინანულს გამოხატავდა.

ქუთაისი უდიდესი ისტორიის ქალაქია, რომელიც, ტრადიციულად, თავისი კულტურით, ინტელექტითა და ტოლერანტობით გამოირჩევა. ამის ნათელი მაგალითია ერთ სივრცეში განლაგებული ბაგრატის ტაძარი, კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები და სამი სინაგოგა. ქართველი კათოლიკების ისტორია ქუთაისში მე-17 საუკუნიდან იწყება, როცა მათი მიგრაცია დაიწყო სამცხე-ჯავახეთიდან (დღეს ქუთაისის მოსახლეობის 15% კათოლიკე). მე-19 საუკუნის დასაწყისში მეფე სოლომონ მეორემ კათოლიკე მისიონერებს „წყალობის სიგელით“ უბოძა ქუთაისში ადგილი, სადაც 1819 წლიდან კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა დაიწყო, 1862 წელს დასრულდა და უბინო ჩასახვის ეკლესიად იკურთხა. 1939 წელს, კომუნისტური რეჟიმის დროს, სხვა ეკლესიების მსგავსად, კათოლიკური ეკლესიაც დაიხურა. 1980-ანი წლებიდან მოყოლებული, კათოლიკეთა მიერ ქუთაისის ეკლესის დაპრუნების მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. 1989 წელს, მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ტაძარი „მართლმადიდებელ მორჩმუნეთა საზოგადოებას“ გადაეცა. კათოლიკებმა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის შე-

# ფილმის პრემიერა ია ხუკაშვილი



ტანაზე უარი თქვეს, რადგან, ვატიკანის საელჩო და საქართველოში კათოლიკე ეკლესიის წინამძღვარი საქართველოს პრესტიუს გაუფრთხილდნენ.

ქუთაისელი კათოლიკები წამყვან როლს ასრულებდნენ ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში: იოსებ ოცხელმა დააარსა ქუთაისში პირველი ქართული გიმნაზია (ახლანდელი №2 საჯარო სკოლა), პავლე კოკოჩაშვილმა - პირველი ქართული აფთიაქი, ლადო გოკიელმა - სურნელოვან სასმელ წყალთა ქარხანა. ქართული ოპერის ფუძემდებელი ზაქარია ფალიაშვილი კი ზუსტად იმ ეკლესიის წინ ცხოვრობდა, რომელიც დღემდე სადაც ქუთაისში მართლმადიდებელ და კათოლიკე მრევლს შორის, ხოლო მამამისი წლების განმავლობაში უკრავდა სწორედ ამ ეკლესიის ორგანზე, რომელიც ამჟამად დაკარგულია.

ქუთაისელი მართლმადიდებლებისა და კათოლიკების კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მათი ერთობლივი ძალისხმევით ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის ალანიშნავია: ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა თბილისა და ქუთაისში, 1979 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც აკადემიკოს სიმონ ყაუხიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. ცნობილი ქუთაისელი მხატვრის, ფელიქს ვარლამშვილის პერსონალური გამოფენების მოწყობა თბილისა და ქუთაისში, მოდერნისტი მხატვრის პეტრე ოცხელის შემოქმედების პოპულარიზაცია.

ქუთაისში ნიუპორტის ქუჩაზე მდებარეობს კათოლიკების ახალი სამლოცველო, სადაც წირვა-ლოცვა ყოველდღე ტარდება. მრევლის წინამძღვარი, მამა გაბრიელე ბრაგანტინი, საეკლესიო მსახურების გარდა, საქველმოქმედო პროექტებსაც ახორციელებს მთელ დასავლეთ საქართველოში და დახმარებას უწევს ადამიანებს, განურჩევლად მათი ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობისა. გარდა ამისა, მამა გაბრიელე, როგორც

თეოლოგიის დოქტორი, საბაჟნის მოწვეული პროფესორია, აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო პროექტებში როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ამიტომ უდავოდ მისასალმებელი და დასაფასებელია ის ფაქტი, რომ 2023 წლის 6 ივლისს, ქუთაისის საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, ქალაქის მერმა იოსებ ხახალეშვილმა მამა გაბრიელე ბრაგანტინის ქუთაისის საპატიო და ლვანლმოსილი მოქალაქის სტატუსი მიანიჭა. ეს დაემთხვა მისი საქართველოში ყოფნის 28-ე და მღვდლად კურთხევის 42-ე წლისთავს.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ფილმი „ქუთაისის კათოლიკები უნინ და დღეს“ ფართო აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი და მოითხოვს გონივრულ დიალოგს, კომპრომისსა და გამოსავლის მოძებნას, რათა კათოლიკური არქიტექტურის ეს შესანიშნავი ძეგლი კვლავ დაუბრუნდეს კათოლიკებს, ასევე ის ერთადერთი უნიკალური ორგანიც, რომელიც ეკლესიას ამშვენებდა. ეს ძალიან მტკიცნეული და სადაც საკითხია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ამ პრობლემის გონივრულ გადაწყვეტაში ქუთაისის საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ვატიკანის დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებას.



# პათოლიკური კულინარია ვერიკო ნოზაძე



## ცხვრის ფორმის საბატონო კექსი

ცხვრის ფორმის ტკბილი კექსი ტრადიციული საალდგომო ნამცხვარია უძველესი ისტორიით. ცხვარი ძველთაგანვე სამსხვერპლო ცხოველად მიიჩნეოდა. საალდგომო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ბატკნის ფორმის ნამცხვარი, რადგან ცხვარი სიმბოლურად განასახიერებს იესო ქრისტეს მიერ საკუთარი თავის მსხვერპლად შენირვას ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად.

ცხვრის ფორმები შეიძლება იყოს კერამიკის, სილიკონის, ლითონის და, ჩვეულებრივ, შედგება ორი ნაწილისაგან. ყალიბიდან რომ ადვილად გამოვილოთ კექსი, ლითონისა და კერამიკის ფორმებს უნდა წავუსვათ კარაქი და მოვაყაროთ ფქვილი; სილიკონის ფორმაზე კი საკმარისია წყლის მისხურება. თუ კექსი მაინც მიეკრობა ფორმას, მაშინ მას უნდა დავაფაროთ სველი პირსახოცი, ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ ვცადოთ ნამცხვრის ამოღება.

ცომს შეიძლება გემოვნებით დაუმატეთ ნებისმიერი სანელებლები: დარიჩინი, ვანილი, კოჭა, მუს-კატის კაკალი, მიხაკი ან ციტრუსის ცედრა. ხოლო ჩირი და თხილი მზა კექსს უფრო სასიამოვნო გემოს მისცემს.

### ინგრეზინგები:

ნალების კარაქი - 125 გრ.  
შაქარი - 125 გრ.  
ვანილი - გემოვნებით  
ლიმონის ცედრა  
კვერცხი - 2 ცალი  
ფქვილი - 125 გრ.  
გამაფხვიერებელი - 1 ჩაის კოვზი  
შაქრის მინანქარი  
ქიშმიში შოკოლადის მინანქარში - 2 ცალი

### მოზალების რეცეპტი:

ათქვიფეთ კარაქი მიქსერით, დაუმატეთ შაქარი, ვანილი, კვერცხი და გახეხილი ლიმონის ცედრა. ფქვილი გაცერით გამაფხვიერებელთან ერთად, დაუმატეთ კარაქი, შაქარი, ცედრა და კარგად ათქვიფეთ.

კერამიკის საცხობ ფორმას წაუსვით კარაქი და მოაყარეთ ფქვილი. ფორმა შეაგეთ ცომით და გამოაცხვეთ 180 გრადუსზე გახურებულ ღუმელში ერთი საათის განმავლობაში.

დატოვეთ კექსი ფორმაში 5 წუთით, შემდეგ ამოილეთ. როცა გაცივდება, მოაყარეთ ცხვარს შაქრის ფხვნილი საცერით, ქიშმიშისაგან კი გაუკეთეთ თვალები.

## ანიმატორების შეხვედრა

9 მარტს ახალციხეში ჩატარდა ანიმატორების პირველი შეხვედრა, რომლის მთავარი თემა იყო „ბანაკების მიზანი“, მისი სულიერი და სოციალური მხარეები.

შეხვედრის სულიერ ნაწილზე ისაუბრეს მამა პავლე დილმა და მამა მერაბ ტატალაშვილმა, ხოლო სოციალურ ნაწილზე - გამოცდილმა ანიმატორებმა, შოთა გიქოშვილმა და გიორგი ლომიძემ.

უღრმეს მადლობას გიხდით შეხვედრაში მონაწილეობის მიღებისათვის და გელით ანიმატორების მეორე შეხვედრაზე.

საქართველოს კათოლიკოს-ასალგაზრდების ცენტრი



## საბაჟნის თეოლოგთა კლუბი



- სულხან საბა ორგელიანის უნივერსიტეტში არსებული თეოლოგ სტუდენტთა კლუბი გთავაზობთ ღვთისმეტყველებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სტატიებს, საუბრებსა და დისკუსიებს.
- კლუბი ორგანიზებას უკეთებს საზოგადოებისათვის, ისევე როგორც თითოეული ინდივიდისათვის საინტერესო სადისკუსიო პანელებს, სემინარებსა და კონფერენციებს, რომლის ფარგლებშიც მოწვეულნი არიან შესაბამისი თემების სპეციალისტები და სხვადასხვა დაინტერესებული ადამიანები.
- საკითხები ეხება, როგორც რწმენის ანალიზისა და ღმერთთან დაკავშირებული თემატიკის გააზრებას, ასევე თეოლოგიის მოსაზღვრე იმ დისციპლინების შესაწავლას, როგორიცაა: ფილოსოფია, ისტორია, ფიქოლოგია, სოცილოგია და ა.შ.
- კითხვები დაისმის ასევე კონფესიურ კუთვნილებასა და მათ ტრადიციებზე, ეკლესიის ისტორიულ მოვლენებსა და მათი გადმოცემის მრავალფეროვნებაზე, სულიერების სხვადასხვა ფორმებსა და გამოვლინებებზე.
- ურნალ „საბაში“ ყოველთვიურად შემოგთავაზებთ ზემოთ წარმოდგენილ თემებზე საინტერესო სტატიებს.
- ასევე, გეპატიურებით ამ შეხვედრებზე მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ზემოთ ავღნიშნეთ . შეხვედრებისა და სტუდენტ თეოლოგთა ინფორმაციები შეგიძლიათ იხილოთ ფეისბუქ გვერდზე, რომელზეც შეგიძლიათ გადახვიდეთ მინიშნებული QE კოდით.

## განსვენება საუკუნო მიანიშა მათ, უფალო!



გიორგი გოგოლაშვილი  
\* 23. 01. 1949, ვალე  
† 04. 02. 2024, ვალე



დავით ჭიქლაძე  
\* 08. 11. 1952, ჭიქლაძე  
† 25. 02. 2024, თბილისი



ჯინო ჭიქლაძე  
\* 04. 07. 1955, რუსთავი  
† 24. 02. 2024, რუსთავი



ჯინო ჭიქლაძე  
\* 24. 08. 1928, უდე  
† 03. 03. 2024, ახალციხი



დავით ჭიქლაძე  
\* 27. 01. 1956, არალი  
† 07. 03. 2024, თბილისი



ნინო ჭიქლაძე  
\* 25. 01. 1950, ვალე  
† 09. 03. 2024, ვალე



## სამწყსო მიმართვა

## საქართველოს ყოველ კათოლიკეს

ამინისტრუმენტის ღიათონზეთი წესის ქადაგის შემთხვევაში  
სამართლებრივი აღმნიშვნელობა  
თბილისი, 2007

- კიტუმ ერთადებული სიეკუცულთა ტრიბუნა, კოსმო-  
ელ და ხელოუინელი კარავანის შეფასება.

ତୁମ୍ହା ଶ୍ରୀ ପାଦାନନ୍ଦଙ୍କୁ କୌଣସିଲେବା ଏହିପରିବାସ କୁଟୀର୍ମାଣଙ୍କ  
ମନୋଦେଖ କୈବଳ୍ୟ, ମେହି କୁର୍ମାଗୁଡ଼ ଶ୍ରୀରାମଙ୍କିଳା ହିଂମତିର୍ମାଣଙ୍କ  
ମନୋଦେଖ କୈବଳ୍ୟ ମନୋଦେଖ କୈବଳ୍ୟ ମନୋଦେଖ କୈବଳ୍ୟ

კათოლიკ დაცენტრალ ნაირობის სენიორი, გვერ მართლმადიდულ კურიერი, იქნა, რეიტინგ კათოლიკ დაცენტრალ სენიორ მთ ნაირობის კურიერი კი კონსაკრი-ნილობის ჩატურითაშე ძირითად საკურიერო და სხვა მართლმადიდული კურიერი, რომელთან ნებ-რიცხვები მართლმადიდულ დაცენტრალ იქნა სწორი თანხმობები რჩქენ, როგორიციც დაგენერირება. ამ ნიუსები ცენტრის მიერ დაცენტრალის დაცენტრალის გვარისაც.

“အလွန်ပေါက် ရှုစိတ်၊ နာတော်ပေါက်ပဲ၊  
မြေသာတွေ့ချော်လှမ် ဖြေစွာဘဲ”

**6** මෙයුම්පෙනුයේ උග්‍රතාවයෙහින් සඳහා ප්‍රෝම්ප්‍රෝටොල තීක්ෂණයක් යුතු කිරීමේදී මුදුනු ලබයා ඇති අවස්ථාවා.

- ქაბ ცოდნა ქრისტეს წინაღმდეგ, რომელ კულტის  
შეფა იყოარჩეული, რომ როგორიც ადამიანი ხოლოდა  
ნათელდა ქრისტე;
  - ქაბ ცოდნა სკარიფიცის წინაღმდეგ, რომელთა  
მოქმედება ნათელდობის და გამ-დამორჩილ მარწმენ-  
თა ცეკვების;
  - ქაბ ცოდნა გალილის წინაღმდეგ; ხელოვანი იმი-  
არქი, რომელს აღიარებოდნენ კულტის ნათელდა-  
ძების ადამიანი შეიძოგ და შეიძოგ ამ კულტის  
შემთხვევა.

ნოენისეუბის, აღმართულებელის წევლით და ხელისუფალის  
მიმდევამი და ძალაც გა სცენისა წარდგინა, მაგ:

- გადაქანის დროისას შეკვეთი;
  - მოვალეობის გრძელება, რომელიც შეკვეთის შემთხვევაში მცირდება;
  - დაგენერაციული პიროვნეულობრივი ფორმისა და კულტურული ძირი ნისაზე ნისაზე მდგრადი ფორმას აქვთ;
  - მოვალეობა საკუთრივი შესტადონის შესაძლებლობა;
  - მოვალეობა ყველა სხვა სახეობების შედების ქარის, შესაძლებლობის შემთხვევაში;

27

შექმ, კოსოლიკევ, შეკოდლია გვამუცხოვდა, რომ კეთ-  
ვნი ქრისტეს ერთადურით გადასჭინა, რომლის შეკუმშობა-  
რის პეტრი და ბავლე მოყვიდვების შემკვეთზე რომეს პატა-  
შინა იარ ასამინირებაში შესველის ცვლილება დაფიქტურულ-  
დაღებასახლი. ნე შეგამზირს იმათ სიცვლები, რომლებმაც  
ვერ გაუწირეთ ერთმანეთისაგან რწმენა, ფანჯრიში და  
ნაკონიცლონჩა.

ଶ୍ରୀମତ୍ୟ ପାତ୍ରନାଥଙ୍କୁ ବିନ୍ଦୁରୁଦ୍ଧ ଉପରୁଦ୍ଧର୍ମ ଏହା ଉପରୁଦ୍ଧର୍ମ  
ଦେଖିଲୁ ନ ରଖିବାରୁ, ତାମିଲିକୁ ଅଳ୍ପରୁଦ୍ଧର୍ମ ମିଳିବା ବିନ୍ଦୁରୁଦ୍ଧର୍ମ  
ମର୍ମରୁଦ୍ଧ ରଖିବାରୁ ମେଗଲା, ରାମିଳା ପ୍ରାଚୀରୁଦ୍ଧ ଫର୍ମାଇବା  
ମର୍ମରୁଦ୍ଧ ମର୍ମରୁଦ୍ଧ ମର୍ମରୁଦ୍ଧ

ପ୍ରାଚୀନତାକୁ  
ବିଶ୍ୱାସ କରିବାର ପାଇଁ ମହାତ୍ମା ଗାଁନ୍ଧିଜ ଏହାରେ ବିଶ୍ୱାସ କରିବାକୁ ପାଇଁ

მარკეტინგის  
მარკეტინგის მიზანიდან 2007 წლის 18 ოქტომბერი,

*Peter Baffy*

⊕ კუნისფრის ფუნქციები მასთან  
დათვის კარისღლებულია კუცქანის  
ხელმისაწვდომობრივი